ბორჯომი

19 იანვარი
ხუთშაბათი
2023 წელი
№4 (9266)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ეაიმპრთა საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა** სამხარეო ადმინისტრაციაში საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გამართა.

სხდომაზე საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს და მოიწონეს სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში 2023 წელს მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

სხდომაზე შეაჯამეს 2022 წელს რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და განიხილეს 2023 წლის ამოცანები, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ და „განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებები. ასევე იმსჯელეს ეკონომიკური განვითარების გეგმებისა, საინვესტიციო პროექტების შესახებ.

მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან უკვე დაფინანსებულია 42 პროექტი 23 675 398 ლარის ღირებულებით.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომას სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **დავით ვარდიაშვილი,** მოადგილე **შოთა როსტიაშვილი,** სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ესწრებოდნენ.

დაიწყო მტკვრის დამცავი კედლის აღდგენა

ე.წ. ახალი უბნის დასახლებაში დაზიანებული მდინარე მტკვრის დამცავი საყრდენი კედლის რეაბილიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. კერძოდ, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მდინარის კალაპოტის გადატანის სამუშაოები.

დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 900 000 ლარია გამოყოფილი.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 6 მაისს, ბორჯომში მოსული უხვი ნალექის გამო, ახალი უბნის ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელ გზაზე, მდ. მტკვრის ადიდებამ არსებული ნაპირსამაგრი კედლის დაზიანება გამოიწვია.

15 იანვრიდან მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები განისაზღვრება!

„15 იანვრიდან მედიკამენტებზე რეფერენტულ ფასებს განვსაზღვრავთ. უკვე 15 თებერვლიდან სრულად შევა ძალაში და ყველა კომპანია, იმპორტიორი, დისტრიბუტორი თუ საცალო მოვაჭრე ვალდებული იქნება, რომ მაქსიმალური ზედა ზღვარი ამ ფასების მიხედვით დაადგინოს“, - ამის შესახებ ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ფარმაცევტულ სექტორს, ფასების გადახედვისთვის ვადა 31 იანვრამდე ექნებათ. თუკი სექტორი, რომელიმე მედიკამენტის ფასზე დასაბუთებულ არგუმენტს წარმოადგენს სამინისტროში შექმნილი სპეციალური საბჭო აღნიშნულს განიხილავს. მინისტრის განცხადებით, რეფერენტული ფასების დაწესება იმ რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლის მიზანიც მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის თუ მედიკამენტების მიწოდებაა.

მინისტრმა კონტროლისა და აღსრულების მექანიზმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეგულაციების დამრღვევებს სხვადასხვა ტიპის სანქციები დაუწესდებათ.

- წამლის კანონში ძალიან მნიშვნელოვანი კონტროლის მექანიზმი ჩავდეთ, რომელიც ნებისმიერი საბითუმო თუ საცალო ქსელისთვის ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ რეგულირების სააგენტოს გამოუჩნდეს ნაშთები, მედიკამენტების ჩამონათვალი და ფასები.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია, არამხოლოდ რეფერენტული ფასების მიზნებისთვის, არამედ იმ მიზნებისთვის რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული რეცეპტების გამოწერასთან, მედიკამენტების მოძრაობასთან ქვეყანაში, ის რომ არ შეიქმნას ხელოვნური დეფიციტი და ა.შ, - განაცხადა **ზურაბ აზარაშვილმა.**

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, უწყება, პარალელურად წამლის მიკვლევადობის სისტემის შექმნაზე მუშაობს. სისტემის საშუალებით, ნებისმიერ პირს და ასევე მარეგულირებელს უჩნდება შესაძლებლობა, შტრიხკოდის საშუალებით, მედიკამენტთან დაკავშირებული ინფორმაცია მარტივად მიიღოს. ზურაბ აზარაშვილის თქმით, აღნიშნული ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტების მიმოქცევის კონტროლის კიდევ ერთი მნიშვნე-ლოვანი ბერკეტი იქნება.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ბავშვთა და მოზრდილთა ონკოლოგიურ დაწესებულების სახელმწიფო ალტერნატივა

- აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ბავშვთა და მოზრდილთა ონკოლოგიური დაწესებულების სახელმწიფო ალტერნატივა, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა **ზურაბ აზარაშვილმა** განაცხადა. უწყების ხელმძღვანელმა ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის საჭირო სერვისებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სამინისტროში მუშაობა დაწყებულია.

- დაახლოებით, 2 თვის წინ, როცა „იაშვილის კლინიკაში“, სამინისტროს მხრიდან, სხვადასხვა პრობლემები გამოვლინდა, დავაყენეთ საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ არის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის საჭირო სერვისის მიმწოდებელი სხვა დაწესებულება და რატომ არ შეიძლება იყოს ეს სახელმწიფო?! პრობლემები, რაც იყო დაფიქსირებული მშობლების მხრიდან, მკურნალობისა და ექიმებთან კომუნიკაციის ნაწილში, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ბავშვთა და მოზრდილთა ონკოლოგიური დაწესებულების სახელმწიფო ალტერნატივა.

მინისტრმა „ინილოვის სამედიცინო ცენტრთან“ თანამშრომლობის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ უცხოელი კოლეგების გამოცდილება ქართულ მხარეს მნიშვნელოვნად დაეხმარება.

- უკვე შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას და პრაქტიკას ეცნობოდა. ერთ-ერთი ყველაზე კარგი პრაქტიკა ისრაელს აქვს. გასული 2 დღის განმავლობაში, სამინისტროს მოწვევით შეხვედრები გაიმართა ისრაელის დელეგაციასთან, ადგილზე მოხდა იმის შეფასება, თუ რა შესაძლებლობები გვაქვს ქვეყანაში ამ მიმართულებით, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე აღჭურვილობის კუთხით.

ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, ასევე, განათლებისა და მედპერსონალის საკითხი, რადგან ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც ამ მიმართულებით აპირებს რეზიდენტურის გაგრძელებას, რეზიდენტული პროგრამები უნდა შეიქმნას ნულიდან. მანამდე კი, წარმატებული სტუდენტების გაგზავნა უცხოეთში სახელმწიფო დაფინანსებით მოხდება. სწავლის დასრულების შემდგომ კი ისინი მუშაობას სახელმწიფო კლინიკაში განაგრძობენ, ამის შესახებ **ზურაბ აზარაშვილმა** განაცხადა.

ფარმაცევტულ კომპანიებს, განსაზღვრულ ფასზე ძვირად, წამლის გაყიდვა 15 თებერვლიდან აღარ შეეძლებათ.

რეფერენტული ფასი, პირველ ეტაპზე, 1300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე დაწესდა. ეტაპობრივად კი სხვა მედიკამენტებზეც განისაზღვრება.

მედიკამენტებზე განსაზღვრული რეფერენტული ფასი ორიგინალისა და მისი ანალოგი გენერიკებისთვის განსხვავებულია, რაც ბაზარზე საერთაშორისო ბრენდების ინტერესს დააზღვევს.

ზღვრული მაქსიმალური ფასები საბითუმო და საცალო რეალიზაციის დონეზე დაწესდა.

ცვლილება, მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდას ისახავს მიზნად.

მედიკამენტების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://referenceprice.moh.gov.ge/ui/#/main

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“!

2023 წლის იანვარი დადგა. ეს თვე გადამწყვეტია ბეჭდური მედიისათვის. საფუძველი ეყრება წლის წარმატებით დაწყებას, ანუ ტრადიციულ გაზეთ „ბორჯომის“ ხელმოწერა-გავრცელება-გადარჩენას.

ბუნებრივია, გაზეთის ხელმომწერთა სიმრავლე გადამწყვეტია. მთვარია საუკუნეს მიტანებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, კულტურულმა, საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთმა „ბორჯომმა“ სიცოცხლე გააგრძელოს.

ამიტომ მოგმართავთ ჩვენი ხეობის წიგნიერ მაცხოვრებლებს, ვისაც ჯერ კიდევ გიყვართ კითხვა, შეგახსენებთ, გამოიწერეთ სანდო, სამართლიანი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი „ბორჯომი“. იგი ერთადერთია მთელ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდის და ვრცელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ წერილები, თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში

ჩვენი მისამართია: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65: 599 227 929.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია

84 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი მომღერალი, კინომსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი

ვახტანგ (ბუბა) კიკაძე

ნამდვილად სამწუხაროა ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძის გარდაცვალება. ჩვენმა სამშობლომ დაკარგა შესანიშნავი ხელოვანი, რომელიც ცნობილი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მისი სახელი დაკავშირებულია არაერთ საყვარელ პერსონაჟებთან, დაუვიწყარია ბუბასკინოროლები, რომლებმაც დროს გაუძლეს და მომავალშიც ნამდვილად გაახარებს მაყურებელს.

ვახტანგს შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ქალაქთან, არაერთი სიმღერა აქვს შესრულებული ბორჯომის სცენაზე, იგი ხშირად ისვენებდა „ბორჯომი-ლიკანის“ სანატორიუმში და ყავდა უამრავი გულშემატკივარი და მისი ხელოვნების თაყვანისმცემელი.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

ბორჯომის ხეობა ბაკურიანი

ამას წინათ საკუთარი არქივის დათვალიერებისას გაყვითლებულ ფურცლებში „სასოფლო გაზეთი“ „აღმოვაჩინე“. ამ დასახელების გაზეთის თავფურცელი იუწყება, რომ გაზეთი ყოველკვირეულია და ძირითადად სამეურნეო, საოჯახო ჟურნალია. „სასოფლო გაზეთის“ აღნიშნული ნომერი 1914 წლის 3 აგვისტოსაა გამოცემული (№28). „სასოფლო გაზეთის“ ფასი ოთხი მანეთი ღირდა.

„სასოფლო გაზეთი“ სოფლის მოსახლეობისათვის აქვეყნებდა მეტად საინტერესო მასალებს მცენარეების, პირუტყვის მოვლა-პატრონობის საკითხებზე. აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებული წერილების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. პირველ გვერდზე დაბეჭდილი განცხადება იუწყება, რომ „ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები 25 აგვისტოდან დაიწყება“. აქვე გამოქვეყნებულია წერილი სათაურით „როგორ იკვებება მცენარეები“. მესამე გვერდზე მკითხველი გაეცნობა მეტად საინტერესო წერილს „ღვინის ავადმყოფობების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ“. მეხუთე გვერდზე დაბეჭდილია წერილი, რომელიც ეხება „თამბაქოს“ (თუთუნის) მოვლა-მოყვანას. ამავე ჟურნალში გაეცნობით ქლიავის მურაბის დამზადების ტექნოლოგიას, ასევე ბროწეულის, თხილის მოვლა-მოყვანის საკითხებს. მეტად საინტერესოა წერილები მეფუტკრეობის თემატიკაზე და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა მეათე-მეთორმეტე გვერდებზე გამოქვეყნებული წერილი სათაურით „ბორჯომის ხეობა“, წერილში მეტად საინტერესო ფაქტებს გაეცნობით ბორჯომის ხეობის და კერძოდ, ბაკურიანის შესახებ.

სამწუხაროდ, ვრცელი წერილის ავტორმა ინკოგნიტოდ დარჩენა გადაწყვიტა, სამაგიეროდ იმ წლებში ჩვენს ხეობაში არსებულ ტაბილ-მწარე სიტყვებს ბევრს ამოიკითხავთ. ზოგიერთი კრიტიკული აზრი დღესაც საკმაოდაა შემორჩენილი ჩვენს დაბა-სოფლებში.

გთავაზობთ „სასოფლო გაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილს სათაურით „ბორჯომის ხეობა“.

(ისტორიული წერილი ყოველგვარი ჩასწორების გარეშე ქვეყნდება)

ბორჯომის ხეობის სილამაზე იმდენად განთქმულია, რომ აქაურობის სანახავად მრავალი მოგზაური მოდის ხოლმე ზაფხულობით: გიჟმაჟი ხევები, მქუხარე ჩანჩქერები, მშვენიერი ტყეებით უხვად შემოსილი მთა-გორაკები, საამოდ მობიბინე საბალახო მწვანე კორდები ყველას თვალს იტაცებს და სავსებით აკმაყოფილებს კეკლუც-ბუნების მოყვარულ მგზავრებს. ძველ დროში ეს ადგილები დიდი კულტურის აკვანი ყოფილა: ციხე-მონასტრების დიდებული ნანგრევები და სხვა ძველის ძველი ნაშთები უტყუარად მოწმობენ, რომ ამ მიდამოებში ერთ დროს ცხოვრება სჩქეფდა და ხელოვნება ჰყვაოდა. მაგრამ დრონი იცვალენ, საუკუნეებმა წაშალა და დაანგრია ადამიანთა გონებისა და ნიჭის მიერ შექმნილი ხელოვნება, მრავალ ფერადი ცხოვრება დადუმდა და გაიყინა, და იქ, საცა ერთ დროს სიცოცხლე სდუღდა, სიხარული და ტანჯვა მეტყველებდა, ადამიანი იბრძოდა და ჰქმნიდა, ეხლა მხოლოდ ხევები შხუიან, ტყეები შრიალებენ და სევდიანი ნანგრევები უსიტყვოდ მოგვითხრობენ თავის დიდებულ წარსულს!

ბორჯომის ხეობა იწყება სოფელ ქვიშხეთთან, ქართლის სათეს-სახნავი ველის დასალიერს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. ამ ხეობას მიჰყვება ბორჯომის რკინისგზა, რომელიც ხაშურში (მიხაილოვის სადგური) იწყება და ბორჯომშივე თავდება. ბორჯომის რკინიგზის სადგურიდან კი ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა იწყება, რომელიც სოფ. ბაკურიანში წყდება. ეს გზა ერთი ულამაზესთაგანი გზა არის საქართველოში, როგორც თავისი ახირებული მიმართულებით, ისე იმ ადგილების სიმშვენიერით, რომლებზედაც ის გაივლის. ბაკურიანი დაშორებულია ბორჯომზე 34 ვერსის მანძილით; მდებარეობა ამ სოფელს ბორჯომზე ბევრად უმაღლესი აქვს, (6000 ფუტამდე) რის გამოც ამ გზის ლიანდაგი სულ აღმართ აღმართ მიემართება და იმდენად მიხვეულ-მოხვეულია რომ ალაგ-ალაგ ზედი-ზედ მიკეცილი გამოდის და მგზავრს ისე ეჩვენება, თითქოს ერთსა და იმავე ალაგს მატარებელი მეორეთ უბრუნდებოდეს. მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ხშირსა და მიყუჩებულ ტყეში აღმართ-აღმართ ნელ-ნელა მიმავალი პატარა, კოხტა მატარებელი, რომელიც უმთავრესად ღია ვაგონებისაგან შესდგება და მგზავრს შეუძლია ყოველი მხრიდან თავისუფლად ათვალიეროს გარემო მდებარე მშვენიერი არემარე. ამ გზის დაყოლებით, ბორჯომსა და ბაკურიანს შუა, რამდენმე აგარაკია გაშენებული: წაღვერი, დიდი ცემი, პატარა ცემი ჩვენში კარგად ცნობილი ექიმის, ბ.ვ. ღამბაშიძის მიერ დაარსებული მშვენიერი სანატორიუმით და ბოლოს სააგარაკო ალაგათ ქცეული სოფელი ბაკურიანი. ყველა ამ ადგილების დამახასიათებელი თვისებაა დიდებული, მშვენიერი, უხვი ბუნება, საუცხოო ტყეებით და ჩინებული საბალახოებით მოფენილი, მეტად ნაყოფიერი ნიადაგი და კეთილშეზავებული, გრილი, მსუბუქი და მეტად საღი მთის ჰავა, ჰაერის ასეთი თვისება თანდათან უფრო და უფრო მეტ ხალხს იზიდავს საზაფხულოთ აქაურ სოფელ გორაკებში. ზამთრობით მიდუმებულ „მიძინებული“ ეს კუთხე ზაფხულობით იღვიძებს და მოაგარაკეებით ივსება. ოდესღაც ქართველებით მჭიდროთ დასახლებული ეს შესანიშნავი კუთხე, 80-100 წ. წინად თითქმის ერთიანად აოხრებული და ამოჟლეტილი ყოფილა. ამ (60-70 წლის განმავლობაში ცოტ-ცოტაობით ამ კუთხეში გადმოსახლებულა სხვადასხვა ტომის ხალხი.

სოფელ ბაკურიანის საზოგადოება შესდგება შემდეგი სოფლებისაგან ბაკურიანი, დიდი მიტარბი, პატარა მიტარბი, ტილოვანი, კიმოთეს უბანი, მზეთამზე, მაჭარწყალი, წინუბანი, ღვთისიმშობელი, გვერდისუბანი, ოდეთი, გინტური, დიდი თონეთი, გუჯარეთი, წითელი საყდარი, დიდი ტუსრები, პატარა ტუსრები კიზილკილსა, მილეთი, ციხისჯვარი და თორი.

ამ 21 პატარა სოფელში 650 კომლი მცხოვრები ითვლება, როგორც ვიცით და თვით სახელებიდანაც ვხედავთ, აქაურ სოფლების უმეტესობა ქართველების მიერ იყო გაშენებული და დასახლებული. დღეს კი ქართველების რიცხვი აქ მეტად მცირეა და მთელი ამ საზოგადოების შემადგენლობა ამჟამად ასეთია:

ოსები არიან 307 კომლი, ბერძნები - 135, სომხები - 102, ქართველები - 65, რუსები - 41.

მთელი ბორჯომის ხეობა თავის შემადგენელი სოფელ-გორაკებით ამჟამად შეადგენს დიდის მთავრის მიხეილ



კვირა, 3 აგვისტო 1914 წ. № 28.

სასოფლო გაზეთი

ყოველ-კვირეული სამეურნეო, სამეურნო ჟურნალი

ფასი ოთხი მანეთი.

„სასოფლო გაზეთი“ ... ფასი ... 12 კ. ... ბაკურიანი ... ბაკურიანი ... ბაკურიანი

მრავალშვილიანი დედა

შვილებთან გატარებული დღე ზღვა ემოციას იტევს

დღეს გაზეთი „ბორჯომის“ რესპონდენტი სოფიო მახვილაძეა, იგი ოთხი შვილის დედაა (ლიზი, ნინო, ვაჟა და ბარბარე აჭარაძეები), 2011 წლიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტია, პარალელურად სწავლობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოფო საჯარო მმართველობის მეორე კურსის სტუდენტია.

- განათლების მიღება არასოდეს არაა გვიან, მინდა მაგალითი ვიყო სხვა ადამიანებისათვის, რომ ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, ნებისმიერ ასაკში შესაძლებელია მიიღო სასურველი განათლება, იყო წარმატებული, თან მუშაობდე, გყავდეს ოჯახი და სწავლობდე კიდეც. რეალურად ცხოვრებაში ბევრი რამის მოსწრება შეგვიძლია, მთავარია მონდომება, - მითხრა სოფომ.

- რატომ აირჩიე აღნიშნული სპეციალობა?

- ვფიქრობ პროფესიულ განვითარებაში დამეხმარება და სამომავლო გეგმები, რომელთა განხორციელების დიდი სურვილი მაქვს, ეს პროფესია უშუალო კავშირშია.

ოთხი შვილის დედობას როგორ ართმევ თავს?

- რთულია, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ მათ აღზრდაში უდიდესი დახმარება და წვლილი აქვს ჩემ დედამთილს, სამსახურში ყოფნისას ძირითადად ის უვლის, ასწავლის და დაჰყავს სხვადასხვა წრეზე.

მე პირადად, შაბათ-კვირას ვცდილობ, სახლში ვიყო და ჩემს შვილებთან ერთად გავატარო ყოველი თავისუფალი წუთი, მაქსიმალურად კარგი მშობელი ვიყო.

- გვიამბე, შვილებთან გატარებული დღის ემოციაზე?

- შვილებთან გატარებული დღე ზღვა ემოციას იტევს, ალბათ, ყველა დედისთვის ასეა. ყოველ წამიერად მათში ახალ შესაძლებლობებს ვპოულობ, დილით რომ შვილების მოფერება გაგაღვიძებს, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. რამდენიმე წლის წინ ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, ოთხი შვილის დედა ვიქნებოდი, დაუჯერებლად მომეჩვენებოდა, ახლა კი მადლობას ვწირავ უფალს მათი არსებობისათვის ჩემს ცხოვრებაში.

- რაზე ესაუბრები ყველაზე ხშირად მათ?

- უფროს გოგონებთან ყველა თემაზე ვსაუბრობ, მათთან გახსნილად შემიძლია საუბარი სხვადასხვა თემაზე, ისინიც მიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს, მე კი ვცდილობ, მათ სწორი რჩევა მივცე. ხშირად ვსაუბრობთ განათლების აუცილებლობაზე, რომ სწავლა მნიშვნელოვანია; ვსაუბრობთ საქართველოს ისტორიაზე, რელიგიაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, მათთვის მაგალითი ვიყოთ. ვასწავლით, რომ ყველაზე ძვირფასი ადამიანური ურთიერთობებია.

- კითხვა, რომლითაც შვილები ყველაზე ხშირად მოგმართავენ?!

- დედა მალე მოხვალ?...

- რაზე ღელავ ყველაზე მეტად შვილებთან დაკავშირებით?

- ყველაზე მეტად ჯანმრთელად მინდა რომ იყვნენ, შევძლოთ მე და ჩემმა მეუღლემ (ირაკლი აჭარაძე) მათთვის განათლების მიცემა, რაც მთავარია, მინდა, რომ ნამდვილ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, იყვნენ ჰუმანურები და არასოდეს დაეზაროთ სხვა ადმიანების დახმარება.

- დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომლებსაც გამოყოფდი საკუთარ თავში?

- უარყოფითი - შემიძლია ვთქვა, რომ საშინლად ჯიუტი ხასიათი მაქვს და ვარ ფიცხი. დადებითი - მიზანდასახული და შრომისმოყვარე ადამიანი ვარ, მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობები.

- რა გამოცდილება დაგიგროვა სამსახურეობრივმა პოზიციამ?

- სამსახური დამეხმარა უნარების გამომუშავებაში, ვმართო საკუთარი ემოციები, უფრო გახსნილი და კომუნიკაბელური ვიყო მოქალაქეებთან, ვისწავლე სხვადასხვა სამსახურის მუშაობის სპეციფიკა, რამდენიმე პროგრამაში მუშაობის გამოცდილებაც მივიღე და ამასთან პიროვნულად გავიზარდე.

ესაუბრა
ია იანვარაშვილი

ძვეყნის ფინაშე ვალმოხდილი

ძმობის და მეგობრობის კაცი

მიხეილ ზედელაშვილი

მოხუცებულობის ასაკშია, მაგრამ ისე მხნედ, ისე შრომისუნარიანად გამოიყურება, უმცროსს მეგობრებს თვისი ტოლ-სწორი პგონიათ.

თუ არა და მიხეილი, როცა იხსენებს თავის ბავშვობას და ყმაწვილკაცობას, გული აგიტირდება. დედა ადრე გარდაეცვალა. მამა მართალია მუსიკოსი, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის სასულე ორკესტრის ხელმძღვანელი იყო, მაგრამ მცირე ხელფასს მქონეს, რა უნდა ექნა. მიხეილი დასთან ერთად იზრდებოდა და პატარაობიდანვე შრომას მიეჩვია, სწავლითაც კარგად სწავლობდა და უმაღლესშიც დაუსწრებლად მოაწყო, ხშირად უსდებოდა მოსკოვში ჩასვლა, იქ დაამთავრა ასპირანტურა, საკანდიდატო დისერტაციაც იქვე დაიცვა. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად მამისგან მუსიკალურ ხელოვნებასაც კარგად დაეუფლა.



სწავლულმა მეცნიერმა, ახალდაბის სატყეო-საცდელ სადგურში დაიყო მუშაობა. ყოველწლიურად რამდენიმე სამეცნიერო თემას ამუშავებდა რაიონის და საქართველოს მასშტაბით აკვირდებოდა ტყეების, მცენარეთა ზრდა-განვითარებას, შემდეგ იწერებოდა სამეცნიერო თემები, რომელიც ცნობილ მეტყევე მეცნიერთა მოწონებას იმსახურებდა. ერთი სიტყვით, ემზადებოდა სადოქტორო დისერტაციის დასაცავად და დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ეს ოცნებაც აისრულა.

მკითხველმა, ისიც უნდა იცოდეს, რომ მიხეილი მრავალ წერილს აქვეყნებდა რაიონულ და რესპუბლიკურ გაზეთებში, მისმა შრომებმა საყოველთო აღიარება მოიპოვა.

ჩვენი მიხეილი მარტო მეცნიერებით არ შემოიფარგლება, იგი შესანიშნავი მეოჯახეა. მისი ეს თვისება კიდევ უფრო მეტად გამოვლინდა მას შემდეგ, რაც მეულლე გარდაიცვალა. ქვრივმა მიხეილმა შეძლო შვილებს უდედობა არ ეგრძნოთ და ყველაფერს აკეთებდა, რომ მათთვის დიდი ტკივილი შეემსუბუქებინა.

მიხეილმა ასევე შეძლო შვილებს კარგად ესწავლათ. ქალიშვილმა გორის მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა, ვაჟმა კი უმაღლესი განათლება მიიღო, დღეისათვის ორივე შვილი დაოჯახებულია და ამაგდარი კაცი შვილიშვილებით ხარობს, რომელთაც მშობლებზე მეტი ნიჭი აღმოაჩნდათ.

პარალელურად მიხეილმა თავისი შრომით და მეზობლებისა და მეგობრების დახმარებით, საკუთარი სახლიც აიშენა და დიდებულ მასპინძლობას უწევს სასურველ სტუმრებს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ მძიმე და რთული სამუშაოების დროს მხარში ედგა, მასთან ახლოს მცხოვრები მეგობარი ბატონი ალგი ლომიძე.

ბატონი მიხეილი ვალში არავისთან რჩება, სიკეთეს სიკეთით პასუხობს, იგი ყოველთვის მზადა თავის შვილთან ლევანთან ერთად მხარში დაუდგეს ყველას, ვინც ამას ოდნავ მაინც იმსახურებს.

მიუხედავად ფართო განათლებისა და ერუდიციისა იგი ყოველთვის თავმდაბალია, არავის აყვედრის მის მიერ დათესილ სიკეთეს. ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს მეტი ყურადღება და სითბო სჭირდებათ.

ბატონი მიხეილი მიუხედავად სერიოზული ასაკისა ხშირად მოგზაურობს ბორჯომის, თბილისის და ხაშურის მიმართულებით, პენსიონერკაცს ვერავინ მოასწრებს მგზავრობის ფულის გადახდას, თუ არადა, მასაც ისე, როგორც ბევრ სხვას, იმდენივე პენსია აქვს. მაგრამ კარგი ადამიანებისათვის არ ენანება თავისი მცირე შემოსავალიც კი, ალალად მოახმარს მისთვის საპატივცემულო ადამიანებს.

მიხეილის შესახებ კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ გაზეთის ფორმატი არ იძლევა ამის საშუალებას.

მრავალრიცხოვანი მეგობრების სახელით გვინდა ტკბილი სიბერე ვუსურვოთ მას და კვლავაც ენერგიულად ელვაწოს.

თეიმურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

საინტერესო ადამიანები

პატარა ქალაქში ცხოვრება, სადაც ყველა ყველას იცნობს, ყველა ყველას ახლობელია. რთულია ამ რალაცნაირ, ერთფეროვან სამყაროში გამორჩეული იყო. გამორჩეული გარეგნობით, თმის, მუქი კანის ფერითა და რაც მთავარია, ხასიათითა და ბევრი ტატუთი. ტატუ შეიძლება დღეს აღარავის აღარ უკვირს, მაგრამ როდესაც ქალი ხარ და იმაზე მეტი ტატუ გაქვს, ვიდრე გარშემომყოფებს წარმოუდგენიათ. მერე ხშირად ხდები გამვლელებისა თუ ნაცნობების განხილვა-განსჯის საგანი. არც ჩემი გამორჩეული რესპოდენტია გამონაკლისი. ქუჩაში ყოველთვის ფერადი სამოსით დადის, არა აქვს მნიშვნელობა წელიწადის რომელი დროა. იშვიათად თუ მინახავს მუქი ფერის სამოსით. რამდენჯერ გამიფიქრია მასზე, ნამდვილი „ადამიანი დღესასწაულია“-თქო. დადის და სიფერადეს, სინათლეს ასხივებს. თუმცა, რაც ამ ადამიანს სხვებისაგან გამოარჩევს არის ის, რომ საოცარი მადლიერების გრძნობით აღსავსე პიროვნებაა. საკუთარი ფეისბუქის გვერდზე ხშირად ტვირთავს საინტერესო პოსტებს, რომლებიც უსაზღვრო მადლიერებითაა აღსავსე ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი და საერთოდ სამყაროსადმი. უყვარს პოეზია და თვითონაც წერს. ამ საოცრად გამორჩეულ და განსხვავებულ ადამიანს მინდა ჩვენი მკითხველებიც იცნობდეთ. მაშ ასე, რუბრიკაში „საინტერესო ადამიანები“ ჩვენი სტუმარია პროფესიით მუსიკოსი (პიანისტი), ქალბატონი ნანა კევლიშვილი.

მოგონებები სულის სუნამოა

- პირველ რიგში მადლობა, რომ დამთანხმდით ინტერვიუზე. ახლა რაც შეეხება პირველ შეკითხვას. დავიწყოთ სულ ადრეული ბავშვობიდან. როგორი ბავშვი იყავით?

- მადლობა თქვენ, რომ ჩემი პერსონით დაინტერესდით. ამ გადასახედიდან ვთვლი, რომ აუტისტი ვიყავი. ჩიტების ენა მესმოდა, საათობით ვიჯექი მამიდაჩემის (მსახიობი გახლდათ) აივანზე, თბილისში, მაჩაბელზე და ველაპარაკებოდი მტრედებს. იტალიური ეზო იყო და მეზობლები „გრომკო გავარიწლს“ მეძახდნენ. კიდევ ერთი უცნაურობა მახასიათებდა. ვინც ფეხს დამაბიჯებდა მეგონა, რომ თუ მეც არ დავაბიჯებდი დედა მომიკვდებოდა.

დედა იყო სულ სხვა აბსტრაქცია ჩემთვის და დღესაც ასეა. კიდევ ერთი უცნაურობა მჭირდა. ყველაფერი სამ რიცხვამდე უნდა დამეყვანა. ან სამი კოვზი უნდა გადამეღო, ან არც ერთი. დღემდე ასე ვარ. სამი არის ჯადოსნურ-ზღაპრულ-მაგიური ციფრი.

- ყველაზე მეტად რა გენატრებათ განვლილი წლებიდან?

- სიხალისე და გულწრფელობა მენატრება, ყველაფერს, რომ თავისი ნაღდი სახელი ერქვა.შავი იყო შავი და თეთრი იყო თეთრი. მენატრება, თუმცა არ დაკარგულა, ის წლები ჩემშია. არც დავკარგავ, ვიდრე ცოცხალი ვარ.

- როგორ აირჩიეთ მომავალი პროფესია?

- ძალიან მინდოდა კინოთმცოდნეობაზე ჩაბარება. ყველა დროის ყველა ფილმი ვიცოდი ძალიან კარგად და გარჩეული მქონდა ყველანაირად. თუმცა, რატომღაც მუსიკალური ხაზით გავაგრძელე სწავლა, უფრო მეტად ეს დედის არჩევანი იყო, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუსიკა არ მიყვარდა და ამიტომაც დავამთავრე საფორტეპიანო.

- მიუხედავად იმ შავბნელი 90-იანი წლებისა, მაინც შეძლით და დღეს საოცრად ფერადი იმოჯი გაქვთ... რამდენად რთულია ერთფეროვან სამყაროში ყველასაგან გამორჩეული იყო?

- თავისთავად რაღაცნაირადაა. ამის გამო საოცრებები მაქვს განცდილ-გადატანილი, საშინელიც და სასიხარულოც. თუმცა, მე ხომ სიგიჟემდე მიყვარს ადამიანები. საოცრად კაცთმოყვარე ვარ. ჩემი შვილი მეტყვის ხოლმე, არ მინდა შენნაირი ჭუმანური ვიყოო. ძლიერი წყენაც კი მალე მავიწყდება. ჩემთვის ყველაფერია მზე, ზღვა, ყვავილები, თოვლი, ცისარტყელა, ბუმბულები, ცა და პოეზია! ასთმა მაქვს და აეროზოლს ვხმარობ. ასე ვამბობ, „სალბუტამოლის“ აეროზოლია პოეზია. ანუ უანგბადია, რითიც ვსუნთქავ!!!

- თქვენი განსხვავებულობის გამო ხშირად კრიტიკის საგანიც კი გამხდარხართ. როგორ რეაგირებთ ხალხის კრიტიკაზე?

- ერთხელ მახსოვს ხასხასა წითელი თმა მქონდა. მამაჩემი ეზოდან ამოვიდა და მეუბნება, კაცებმა მითხრეს შენ შვილს რა ფერის თმა აქვს, ეგრე როგორ ატარებო?!. ძალიან კი გამეცინა და ვუთხარი, მამი შენ ხომ არ განუხებს ჩემი წითელი თმა, არაო მიპასუხა. ჰოდა, მაშინ არ მიაქცია ყურადღება. არც მიგვიქცევია. მახსოვს ერთხელ სილამაზის ხიდზე შეგვხვდა მე და მარინა რატიანს ასაკოვანი მამაკაცი, გაგვაჩერა და მეუბნება, შენ რა მოხელე ხარო? რა ტიპი ხარ, რატომ გაქვს ტატუებიო? შავი გაგების ხარო? არც შავი გაგების ვარ, არც თეთრის, ფერადი გაგების ვარ, გავეცი პასუხი (ლიმის). ეს და კიდევ მრავალი ყოფილა, თუმცა შორს ნაგვიყვანს ყველაფრის გახსენება.

- თითქოს დღეს აღარავის უკვირს ტატუირებული ადამიანები, მით უფრო ქალი, თუმცა პატარა ქალაქში რაღაცნაირად შესამჩნევია. პირველი ტატუს გაკეთების სურვილი რამდენი წლის წინ გაგიჩნდათ?

- ნწლის წინ დავიხატე პირველად ჩიტები, რომლებიც თავისუფლების სიმბოლოა. მაშინ კი გამაფრთხილა ტატუს ხელოსანმა, რომ თქვენ არ იცით თავს რაში ყოფთო და მართალი ყოფილა. ნამდვილად სენსიციაა. შემდეგ იყო პიტერ პენის გამოსახულება. ხელზე წარწერა მაქვს ფრანგულად -„მოგონებები სულის სუნამოა“. ნამდვილად მოგონებებია მთელი ცხოვრება. ყველა წამი მოგონებაში გადადის. მაქვს ლოტუსის ორი ყვავილი. ეს სამყაროსთან პირდაპირ კავშირშია. ბესიკ ხარანაულის თქმისა რ იყოს-„სამყაროს როგორც მიუშვერ გულს, ისეთად მოიზილები“.

- გარდა გამორჩეული და განსხვავებული ვიზუალისა, მადლიერების უსაზღვრო გრძნობაა. რას ნიშნავს თქვენთვის მადლიერების ცნება?

- ვფიქრობ, რომ მადლიერება გამორჩეული გრძნობაა. სითბო, სიყვარული, თანაგრძნობა ეს ის ემოციებია, რომლებიც ქმედებისაკენ გვიბიძგებს, რაც სიკეთის კეთებასა და ელემენტარული მადლობის გადახდაში გამოიხატება. ეს ბუნებრივი, ადამიანური რეაქციაა, რომელიც თავადაც გათბობს. ერთადერთი შიში მაქვს ცხოვრებაში და ეს შიშია საყვარელი ადამიანების დაკარგვის შიში. ცხოვრების ყველაზე მთავარი შიში- სიბრმავის შიში უკვე დავამარცხე. იყო დრო, როდესაც ყველა ნაბიჯი გათვლილი მქონდა, თვალს გავახელდი და უცებ სიბნელე დაისადგურებდა.

თუმცა, ეს ყოველივე დავამარცხე, რთული იყო მასთან ჭიდილი, მაგრამ მე ეს შევძელი. თურმე, დროზე ადრე არაფერზე არ უნდა იდარდო.

- გყავთ საოცრად ნიჭიერი, უდიდესი მომავლის მქონე შვილი, მუსიკოსი, ნინ ჯავახიძე, რომელიც საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ახლა უკვე უმცროს თაობას უზიარებს, რამდენად გავხართ ერთმანეთს?

(გაგრძელება 3ე-4 გვერდზე)

მოგონებები სოლის სენამოა

(დასასრული)

- ვგავართ მხოლოდ ადამიანურ ფასეულობებში, სითბოში, სიკეთეში, მზრუნველობასა და ჰუმანურობაში. სხვა დანარჩენში არანაირად. ისეთი სერიოზულია, ხანდახან მგონია, რომ ისაა დედა და მე შვილი. ნინი ჩემი ცხოვრების ერთადერთი და მთავარი გამართლებაა.

- ვინ არიან ის ადამიანები, რომელთა აზრსაც თქვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს?

- ეს ადამიანები არიან, დედა, ჩემი და და შვილი. სწორედ მათ გამო მითქვამს უარი ისეთ რაღაცეებზე, რაც მინდოდა, რომ ჩამედინა.

- თუ არის ცხოვრებაში კითხვები, რომლის დასმასაც აუცილებლად ისურვებდით, თქვენთვის რომ დაესვათ და ანალოგიურად რა პასუხებს გასცემდით?

- დიახ, მაქვს რამდენიმე. მაგალითად:

- რა დაგემართათ ისეთი, რისი ახსნაც დღემდე არ გაქვთ?

- მახსოვს, ერთხელ „მართალი აღსარება“ ვერ ჩავბარე მოძღვარს და შემდეგ დიდ თაბახის ფურცელზე დავიწყე აღსარების წერა, რომ მეორე დღეს დილით ლოცვაზე მიმეტანა და მოძღვარს წაეკითხა. ჩაიდანი მედგა გაზქურაზე და დამავიწყდა. საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მოვრჩი წერას და სამზარეულოში რომ შევედი თვალში მეცა ჩაიდანი, შემოვირტყი ხელი, აკანდე თაფლაფარი, არც დამშრალი იყო, არც გაშავებული, არც წყალი არ შიშინებდა, გეგონებოდა სრულიად უცეცხლოდ იდგა.

- რა არის ყველაზე ღირებული შენაძენი თქვენთვის?

- ჩემი მეგობრები.ზოგი ბავშვობიდან მომყვება, ზოგიც ცხოვრების მომდევნო ეტაპებზე გადამეკვეთნენ. ნიცშეს აქვს ნათქვამი- „კახდი სუფთა ჰაერი, პური და წამალი



შენი მეგობრისათვის“. სწორედ ამგვარად არიან ისინი ჩემთვის.

- რაზე გწყდებათ ყველაზე მეტად გული ჩვენ ქალაქში?

- ძველი კინოთეატრი რომ წლებია უფუნქციოდაა პატარა პარკის ტერიტორიაზე.

- ვისთან ერთად გსურთ ლიფტში ჩაკეტვა?

- მასთან (ილიმის). ერთ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი და ვერ მოვისვენებ, უნდა მიპასუხოს..

...მას რომ შევხვდი, რაღაცა ძალიან ხმამაღლა ვუთხარი სამყაროს! რაც ის ვნახე, - აღარ მეშინია სიკვდილის... მის გამო...

ჩემი სული სისხლძარღვივით გადაიხსნა სიხარულისთვის და... წუთისოფლის მერვე ფერი აღმოვაჩინე..

სწორედ ამიტომ ვთქვი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ჩურჩულით სათქმელია.

ვიცი, მაპატიებს ამას.

- შესაძლებლობა რომ გქონდეს შეხვდე გარდაცვლილს, ვინ იქნებოდა ის?

- მხოლოდ და მხოლოდ მამას. მამა სულ სხვა სამყაროა, ჩემი სისპეტაკე... ადამიანი, რომლისგანაც მემკვიდრეობით ბევრი კარგი რამ მერგო. თუმცა, ვწუხვარ, რომ მთლად ისეთი არ ვარ, როგორიც მის შვილს შეეფერებოდა. არადა, პირქით, უნდა გაკეთილშობილდეს ხოლმე თანდათან ნამრავლი. ბევრ რამეზე ვთხოვდი პატიებას და რაც მთავარია, ძალიან, ძალიან ჩავეხუტებოდი და ისევ შევიგრძნობდი ხორციელადაც.

- რას ურჩევდით თქვენ შვილს?

- დააფასოს ის, რაც აქვს, რაც უფალმა უბოძა და რაც თანდათან შესძინა ცხოვრებამ და რაც საკუთარივით მიიღო მისგანვე. მისდიოს თავის პრინციპებს, რეალობასა და ოცნებას შორის ლამაზად შეძლოს გავლა-გამოვლა.

- თამაშობთ საკუთარ თავს?

- ხან მიჭირს, ხან ძალიან მარტივად გამომდის. ორი ბუნება მაქვს, არა, უფრო მეტიც. ადამიანი, რომელიც საკუთარ ემოციებს თრგუნავს ან არ იცნობს, არასოდეს ეცოდინება რა არის სიყვარული. ემოცია ერთ-ერთი ფსიქიკური პროცესია შენშიხან ცნობიერი, ხანაც გამოუცნობი. ,

- და ბოლოს რას ისურვებდით ცხოვრების მანძილზე?

- ვისურვებდი ისე გაგვევლოს ადამიანებს ჩვენი გასავლელი პატარა შუკა, რომ გზადაგზა ჩვენი სწორი და კეთილი საქმეები ყვავილებივით გვეპნიოს, რომ განკითხვის უამს უფალს არ ეთქვას - „არ გიცნობ“.

ესაუბრა **ნაპო მელიქიძე**

ქადრაკი
არის პირველი თასი

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელმა, ბორჯომის სპორტსკოლის ჭადრაკის სექციის წევრმა **თეა რუსიტაშვილმა** თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ახალციხის რაიონის დაბა ვალეში გამართულ რესპუბლიკურ საჭადრაკო ფესტივალზე. ის 9-10 წლის ასაკის გოგონებს შორის, მართალია, საპრიზო სამეულში ვერ მოხვდა (რადგან ფესტივალში მონაწილეობდნენ ამ ასაკის საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკეები), მაგრამ სამცხე-ჯავახეთის რაიონების ამ ასაკის გოგონებს შორის ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა.

თეა წარმატებით მონაწილეობს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გამართულ სარეიტინგო შეჯიბრებებში, რომლებიც თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იმართება. წინასაახალწლო დღეებში იგი ჩაერთო მესამე თანრიგის მაძიებელ გოგო-ბიჭებთან ორთაბრძოლაში, რომელშიც ასაკით მასზე უფროსებიც მონაწილეობდნენ. მან 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა მოაგროვა, პირველი ადგილი დაისაკუთრა და გამარჯვებულის თასიც მიიღო.

ეს მისი მოპოვებული პირველი თასია. ეს - ერთი და სხვა - მრავალი!

უშანგი ჯანგიერაშვილი.

მწვრთნელი.

საქართველოს გაუმარჯოს..

გაზაფხულზე რომ გათბება მიწა,
რომ ამოვა ენძელა და ია,
საქართველოვ, შენს ყველაფერს ვფიცავ,
ლექსს დაგიწერ ცისფერ პეპლებიანს.
ანანურთან არაგვის წყალს დავლევ,
გამარჯვებას ვეტყვი ცისფერ კალმახს,
ციხისძირთან შემეყრება გველი,
ის მაჩუქებს უკვდავების ალმასს.
მერე წავალ, ბილიკებზე ვივლი,
მსურს ვეფერო დეკასა და ღვიას,
ნელა-ნელა მყინვარწვერზეც ავალ,
რომ იქიდან გადმოვხედო მთლიანს...

გოდერძი ჩოხელი

ამ პატარა ქვეყანაში გვაქვს 26060 მდინარე, 856 ტბა, 49 სახეობის ნიადაგი, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო, 2.718.000 ha ტყე, ინერტული რესურსების და მოსაპირკეთებელი ქვების 594 საბადო, 130 მლნ ტონა ბენტონიტი, 33 ბარიტის საბადო, 13300 სახეობის ფლორა, 80 მლრდ ტონა მარგანეცი, 315 კმ ზღვის სანაპირო, 102 კურორტი, 68 სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი, 11600 ეკლესია-მონასტერი, რვა ათასწლოვანი ღვინის კულტურა, სამი სახეობის დამწერლობა და სამი ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა. საქართველოს გაუმარჯოს..

სპექტაკლი „ზღაპარიყო“ სცენაზე

წაღვერის კულტურის სახლში, თეატრ-სტუდია „ვოდევილი“-ს მიერ გაიმართა საახალწლო სპექტაკლი - ზღაპარიყო.

მონაწილეებმა სათანადოდ მოირგეს როლები და ღირსეულად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ისინი მაქსიმალურად დაიხარჯნენ საზოგადოების განწყობის ასამაღლებლად, რაც ნამდვილად გამოუვიდათ. სპექტაკლით მონუსხული მსმენელები ემოციებს აპლოდისმენტებით გამოხატავდნენ. დასასრულს გათამაშდა სახალისო ლატარია, პირადად ქალბატონი **დალი ქასაშვილის** ჩართულობით და პატარა მაყურებლებს საახალწლო საჩუქრები გადაეცათ, სცენაზე გამოცხადებული რიგისა და ნომრის მიხედვით ერთმანეთს გოგო-ბიჭები სიხარულით ცვლიდნენ. საჩუქრებმა სრულიად დარბაზი მოიცვა და ბავშვები ძალიან გაახარა.

- მთელი გულით ელოდნენ თეატრალები ამ მნიშვნელოვან დღეს, რომლებმაც არც ერთი დღე არ დაისვენეს, შობასაც კი, რომ ძველი ახალი წლის დამდეგს კიდევ ერთი დღე გაელამაზებინათ დამსწრე საზოგადოებისათვის. ეს იყო დანაპირები სპექტაკლი ძველი ახალი წლისათვის, რეჟისორი გახლდათ **გიორგი ლომიძე,** მუსიკალურ მხარეს აფორმებდა **მაია გაგნიძე,** თეატრ-სტუდია „ვოდევილების შემადგენლობაში თამაშობდნენ წაღვერის, ბორჯომისა და ბაკურიანის ახალგაზრდობა, ამ სპექტაკლში ჩართულები იყვნენ საესტრადო ჯგუფის □მაკო-სტუდიის მოსწავლეები (პედაგოგი **მაკო გაგნიძე)**. ახალგაზრდებთან ერთად თამაშობდა ბორჯომის სახალხო თეატრის მსახიობი, **ბაქარ ლომიძე,** - გვითხრა წაღვერის კულტურის სახლის დირექტორმა ქალბატონმა დალიმ.

- საინტერესო იქნება რამდენიმე სიტყვა თქვენი შემოქმედებითი გუნდის სამომავლო გეგმებზეც გვითხრათ?

- სამომავლო გეგმები ძალიან მრავალფეროვანი გვექნება. პირველ რიგში კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას ჩავაბამთ შემოქმედებით ფერხულში, გვექნება სხვადასხვა ჟანრის და ხასიათის ღონისძიებები. მოკლე დროში დასრულდება სცენის მოწყობაც და ამის შემდეგ გავაგრძელებთ თემატურ ღონისძიებებს, ანსამბლების სოლო-კონცერტებს, შეხვედრებს სხვადასხვა სფეროს წარმატებულ ადამიანებთან, ვუმასპინძლებთ ნიჭიერი მხატვრების გამოფენებს და სხვადასხვა ჟანრის ფესტივლებს, გვექნება გასვლითი კონცერტები ეთნიკურად დასახლებულ სოფლებში. ვგეგმავთ ორ ახალ სპექტაკლს წლის განმავლობაში. შესაძლებლობის ფარგლებში მივიღებთ მონაწილეობას როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ ფესტივალებში. გავზრდით წრეებრივ აქტივობას, რის შესაძლებლობასაც მაქსიმალურად მოგვცემს წაღვერის კულტურის სახლი, - განაცხადა ქალბატონმა **დალი ქასაშვილმა.**

იზა იანვარაშვილი

გიწვევთ სასპორტო სკოლა

ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლაში სპორტულ წრეებზე სწავლის დაფინანსება გრძელდება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის ინდივიდუალური სახეობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია 2023 წელს სრულად აფინანსებს სასპორტო სკოლას.

სასპორტო სკოლაში 20 სახეობის (14 ზაფხულის და 6 ზამთრის) სპორტული წრე ფუნქციონირებს.

750-მდე ახალგაზრდას შესაძლებლობა აქვს, რომ უსასყიდლოდ დაეუფლონ სპორტს შემდეგ სახეობებს

ზაფხულის სახეობები

ფეხბურთი;
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;
რაგბი;
კარატე;
ჭადრაკი;
კალათბურთი;
მძლეოსნობა;
ძიუდო;
კრივი;
კიკ-ბოქსინგი;
ტაე-კვონდო;
მკლავჭიდი;
ჩოგბურთი;
საერთო ფიზიკური მომზადება.

ზამთრის სახეობები

სამთო-სათხილამურო;
საციგაო;
ბიათლონი;
ტრამპლინიდან ხტომა;
ილამურებით ხტომა;
ყინულის ჰოკეი;
სკი-კროსი.

აქციონერთა საყურადღებოდ!

გაიყიდა ყოფილი სს „ბორჯომშენის“ კუთვნილი მინის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ბორჯომში, მესხეთის ქ. №32. დაბალ პროცენტიან აქციონერებს, რომლებიც არიან იოსებ მაზიაშვილის ჯგუფში, ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ ბელეფონის ნომერზე 599 249 401; 579 907 017 10-დან 17 საათამდე და მიიღონ კუთვნილი წილი.

იოსებ მაზიაშვილი.

მშვიდობით ქალბატონო!

გარდაიცვალა ჩვენი ბიბლიოთეკის უსუფესი თანამშრომელი, ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი მუშაკი, ქალბატონი დალი ვოისაშვილი-დათუნიშვილი. ქალბატონი დალი 1959 წლიდან მოღვაწეობდა საბიბლიოთეკო სფეროში; 1976 წლიდან უნარიანად ხელმძღვანელობდა მეთოდოლოგიურ-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას. წერდა ლექსებს და ხშირად გვატკბობდა თავისი გულწრფელი პოეზიით.

15 იანვარს ის უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ... მისი სითბო და სიყვარული კი დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

უფალმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი ჩვენო ძვირფასო ქალბატონო.

ანასტასია ხაგიძე

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.

burjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე